

ზურაბ კიკნაძე

“ხანში ირემი მოვიდა”

ედვინება ქალბატონ ჯულიეტა რუხაძეს
– ავტორს და ადამიანს

წიგნში, რომელსაც სათაურად უზის ქ-ნ ჯულიეტა რუხაძის წიგნს “ხანი იმერეთის ხევსურეთია”, ერთ ასეთ თქმულებას ვეცნობით:

ტაბეშაძეების სახლიკაცს წმ.გიორგი გამოცხადებია და უთქვამს: ბეთლემის გამოქვაბულიდან გამოიყვანე და ტაბეშაძეების მხარეში დამასახლეო. რატომო? გაკვირვებია ტაბეშაძეს. ძალა შეგწევს და უნდა წამიყვანოო. კაცმა მამას უამბო. მამას უთქვამს, რომ წმ.გიორგი თავისი ჯვრითა და ბურთითურთ (“თეთრი ქვით”) მოესვენებინა. წასულა კაცი და წამოუყვანია წმ. გიორგი. გზაზე ერთხელ კალოზე შეუსვენიათ, მეორედ – სერზე და მესამედ – ტყელაში, სადაც ახლა წმ. გიორგის ეკლესიაა. აქ ინება წმ. გიორგიმ დამკვიდრება. ხოლო ყველა იმ ადგილას, სადაც კი ხატი ჩერდებოდა, ხალხმა მის სახელზე ჯვრები აღმართა და ნიშები ააგო. წმ. გიორგის მოსვლის დღიდან დღესასწაული დაწესებულა – “ველთაობა”, რომელიც აღდგომიდან ორმოცდამათე დღეზე მოდის, მაისში ან ივნისში, ორშაბათ დღეს, “ვარდობას”. დღესასწაულზე, ყოველწლიურად, ირემი მოვიდოდა, ეკლესიას სამგზის შემოუვლიდა, კართან დაწვებოდა და, როცა “დანაცოხრებდა”, ტაბეშაძის კაცი დაკლავდა, წმ.გიორგის შესწირავდა. ერთხელ ირემი თავის დროზე (“თავის ალოზე”) არ მოსულა, ხალხს კი შიშშილით სული მისდიოდა. დაგვიანებით მოსულ ირემს ტაბეშაძემ “დანაცოხრება” არ აცალა, “რას ქვია, დეიგვიანეო”, და წიხლის კვრით წაუქცევია და დაუკლავს. წმ.გიორგი განრისხებულა და ტაბეშაძეთა გვარი გაწყვეტამდე მიუყვანია. გადარჩენილა მხოლოდ სხვა სოფელში ჩასიძებული ტაბეშაძის აკვანში მწოლარე ვაჟი. ბავშვი სხვა გვარის ხალხს მიუყვანია ტყელაში და წმ.გიორგისთვის შეუვედრებია: “წმ.გიორგი კარუგდებელო, ნუ მოკლავ ამ ბავშვს და მისი გვარი ყოველ წელს ირმის მაგივრად სამწლიან კუროს შემოგწირავსო.” წმ.გიორგიმ მიიღო ვედრება და ტაბეშაძეთა გვარი კვლავ აღმდგარა და მომრავლებულა. ამ დროიდან ტაბეშაძეების ყველა ბუნს (ბაბუიშვილს, ხევსურულად, მამიშვილობას) ტყელაში შესაწირავად ხარი მიჰყავს და მიაქვს ზედაშე (ჯ.რუხაძე, ხანი იმერეთის ხევსურეთია, 1989, გვ. 92-94).

ეს ლეგენდა-ანდრეხი, რომლის მიკვლევა (რაც ნამდვილად არქეოლოგიური აღმოჩენის ბადალია) და პირველი ჩანაწერი ხანის ხეობაში ქალბატონ ჯულიეტა რუხაძეს ეკუთვნის, სხვათაგან ერთ-ერთი არგუმენტია იმისა, თუ რატომ უწოდა მან თავის წიგნს სახელად “ხანი იმერეთის ხევსურეთია”, გიორგი ჩიტაიას მიერ ამ შესანიშნავი კუთხისთვის რვა ათეული წლის წინათ დანათლული სახელი, რითაც გაიღო ხიდი საქართველოს ორ, ერთმანეთისგან სივრცული (ცხადია, ქვეყნის მასშტაბით) და თითქოს დროული მანძილით დაშორებულ, კუთხეს შორის, რომლებიც ერთ კულტურულ სივრცეში არასოდეს მოაზრებულა.

ამ ამბავში გვეცნაურება ბევრი რამ, რაც მას ხევსურეთის (და საზოგადოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის) საყმობა

ანდრეზულ სინამდვილესთან ანათესავებს. ეს არის ბეთლემი – ჯვარ-ხატთა სამშობლო; ხატის რჩეულობა – მკადრე, ტაბეშაძის სახელით, რომლის გამოყოლა ინება ჯვარმა; წმ.გიორგის “მებურთალობა” (ხევსურული ტერმინოლოგიით), გზადაგზა “კოჭის მოკიდება” (ხევსურულივე ტერმინოლოგიით) და ნიშების გაჩენა, ხატის რისხვა, გვარის დაღევა და კვლავ აღორძინება, დანადები, “ვარდობა” (ოღონდ ხევსურეთის “ვარდობა” აღდგომიდან არა 50-ე ანუ სულთმოფენობას, არამედ მე-100 დღეზე მოდის, რადგან ვარდი ანუ ასკილი აქ გვიან ყვავის), ... – ყველაფერი, რითაც ხევსურული ანდრეზებია დატვირთული, ავსებს ხანის ხეობის ამ საკრალური თქმულების შინაარსს. და თუმცა, თითქოს იგი ერთი გვართ – ტაბეშაძეთა წრით არის შემოფარგლული, უდავოა მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ტაბეშაძის დრამა რჩეულობამდე ამაღლებიდან დაცემამდე მთელი სოფლის დრამაც არის.

მაგრამ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ხანურ ანდრეზში იპყრობს სწორედ ის ელემენტი, რომელიც “ხევსურეთის ხევსურეთში” არ დასტურდება, ყოველ შემთხვევაში, ის უცნობია ამ სტრიქონების ავტორისთვის. ეს არის ირმის, როგორც სამსხვერპლო ცხოველის, გამოჩენა სალოცავში და მერე მისი შენაცვლება ხარით, რაც საზოგადოების რელიგიურ-ზნეობრივ ცხოვრებაში ორი ეპოქის მონაცვლეობაზე მიუთითებს (ეპოქათა მონაცვლეობა სხვა რეალიებით არის გამოხატული ხევსურულ ანდრეზებში).

აქ ირემი და ხარი უპირისპირდება ერთმანეთს. ირემი გარეული პირუტყვია და იგი რჩება ასეთად იმ ცივილიზაციის არეალში, რომელსაც ქართული კულტურა ეკუთვნის, ხარი შინაურია. ის შინაურია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: ზოგიერთ საზოგადოებაში (მაგალითად, ზემო სვანეთში) ზამთრობით ადამიანთან ერთად ცხოვრობს ერთ ჭერქვეშ, საერთო სივრცეში.

თავისი არსებობის მანძილზე ადამიანს ორი სახის პირუტყვთან უხდება ურთიერთობა: შინაურთან და გარეულთან. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ: ერთი სახის პირუტყვს იგი ათვინიერებს, იშინაურებს, ხედნის, სხვა კი რჩება მოუთვინიერებელი, ველური, უცხო. შინაური პირუტყვი პატრონის მორჩილია, "პატრონყმულ" ურთიერთობაშია ჩაბმული ადამიანთან. პირუტყვი ემსახურება თავის პატრონს, პატრონი კი იცავს მას. პატრონი პასუხისმგებელია პირუტყვის სიმრთელეზე, ის კი ემსახურება მას ადამიანი და შინაური პირუტყვი სხვადასხვაგვარად ემსახურებიან ერთმანეთს.

ერთი თქმულება მოგვითხრობს: ღმერთმა ქვეყნის გაჩენის შემდეგ ირემი და ხარი გააჯიბრა ერთმანეთს – ვინც უფრო მაღე გადაირბენდა ცას, ადამიანიც იმას აირჩევდა. ირემი თავადებული გაიქცა, გაფრინდა. მაგრამ ბევრი სირბილისგან დაიქანცა და მოკვდა. მხოლოდ მისი ნაკვალევიღა შერჩა ცას "ირმის ნახტომის" სახით. ხარი კი ღინჯად მიემართებოდა თავჩაღუნული, ის მიწისკენ იცქირებოდა, რითაც აჩვენებდა წინასწარ, თუ რისთვის იყო განწესებული. გვიან მიაღწია სამანს, მაგრამ მივიდა ჯანმრთელი და დაუღალავი. ხარის ნაკვალევიც დააჩნდა ცას - "ხარის ნავალი". ამის შემდეგ აკურთხა ღმერთმა ხარი, ქედი დაულოცა და მას აქეთ მას აწევს ადამიანის შენახვის ტვირთიო [კოტეტიშვილი, ქართული. პოეზია, 1960, გვ. 382]. ლექსმა კი ხარის სამსახურის წარმოშობის სხვა ვარიანტი შემოგვინახა: ცხოველთა შორის ხარი კეთილი ნებით კისრულობს ადამიანის რჩენას:

ადამიანის შენახვა ვერავინ იღვა თავზედა,
ხენა-თესვა, ფარცხვა და ზიდვა გაჭირდა მეტად ძალზედა.
ხარმა თქვა, პირნათლიერმა, მე ღამაწერეთ რქაზედა.
მიცვივდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორთავ თვალზედა.
ჩამოქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორსავ რქაზედა.
შვიდიც უბოძეს სარტყელი, გაგზავნეს ქვეყანაზედა:
წადი, ხარო, იმუშავე, ერთგულად მთა და ბარზედა,
შეგაბას შენმა პატრონმა... [დასახ. წ., გვ. 150-1].

მაგრამ ამით არ ამოიწურება შინაური პირუტყვის სამსახური. ეთნოლოგია იმ აზრისკენ იხრება, რომ ადამიანს ცხოველები უტილიტარული მიზნით – გამოსაკვებად ან სამეურნეო საჭიროებისთვის კი არ მოუშინაურებია, არამედ იმ მოთხოვნებით, რომ თავისი, როგორც უნიკალური არსების, სიმარტოვე დედამიწაზე ბუნების ცოცხალ და მშვიფიერ ნაწილთან ურთიერთობას შეეცსო (ან.მაქსიმოვის გამოკვლევები გასული საუკუნის 20-იან წლებში, იხ. Знание сила 1, 1988, 39). შინაური საქონლის ჯოგები რომ ადამიანს თავის გამოსაკვებად არ გაუჩენია, ამას მესაქონლე ტომების პრაქტიკა მოწმობს. ისინი პირუტყვს კლავენ მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ და საოჯახო თუ საგვარეულო დღესასწაულებზე ანუ მსხვერპლად სწირავენ მფარველ ღვთაებას. დაუშვებელი იყო საქონლის დაკვლა უბრალოდ შესატყმელად, მსხვერპლშეწირვის რიტუალის გარეშე (ძნელი არ უნდა იყოს ამის დანახვა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, განსაკუთრებით, ხევსურეთის ტრადიციულ ყოფაში). აკრძალვა იხსნებოდა მხოლოდ განსაკუთრებით მძინვარე შიმშილობების დროს (W.Robertson Smith, Lectures on the Religion of the Semites, Edinburgh, 1889, p. 34). ამ დროს პირუტყვი მსხნელად ევლინება ადამიანს: იგი იწირება თავისი პატრონის სიცოცხლის გადასარჩენად.

რაც შეეხება გარეულ პირუტყვს, მასთან ადამიანის ურთიერთობა უცხოთან ურთიერთობაა. ამავე დროს, შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობა თანასწორთა ურთიერთობაც არის. ადამიანი ვერ იმორჩილებს უცხოს, ვერ იშინაურებს, ვერ ეპატრონება, ვერ პატრონობს, რადგან მას სხვა პატრონი ჰყავს. მას შემდეგ, რაც ადამიანი, რომელიც, როგორც შესაქმის გვირგვინი, მთელი ცხოველთა სამყაროს პატრონად იყო განწესებული, მოწყდა ბუნებას და მასთან ერთად გაუუცხოვდა გარეულ პირუტყვს, დაკარგა მასზე გავლენა და პატრონობა, გარეულს სხვა პატრონი გაუჩნდა, რომელსაც თითქმის ყველა ტრადიციაში ერთი სახელი ეწოდება - "ნადირთ პატრონი" ან "ნადირთ მწყემსი". გარეული ცხოველი, რომელიც ბიბლიის თანახმად, იმთავითვე, "თავის გვარის მიხედვით" გარეულად (ველურად) არის გაჩენილი (დაბ. 1:25), ადამიანს შეუძლია მხოლოდ მონადიროს.. შინაური ცხოველი თუ სამსხვერპლოა, გარეული მოსანადირებელია, ბრძოლით არის მოსაპოვებელი. შინაური დაიკვლის, გარეული – მოიკვლის (ქართული ენა განასხვავებს ამ ორ აქტს – დაკვლას და მოკვლას). შინაურ ცხოველს ადამიანი სწირავს მსხვერპლად, გარეულს კლავს. მსხვერპლი, რომელიც უგამონაკლისოდ შინაურია, ადამიანის ხელით არის გაზრდილი, მორჩილად ხრის თავს შემწირველის წინაშე. და ის მსხვერპლი ითვლება საუკეთესოდ და ამართლებს მსხვერპლშეწირვის საზრისს, რომელიც მორჩილად უშვერს

ქედს მახვილს (ესაია 53). მსხვერპლშეწირვის ძალა მის ნებაყოფლობითობაშია. იძულებითი მსხვერპლშეწირვა, ურჩი მსხვერპლი წინააღმდეგობაა: იგი აუქმებს ამ აქტის საზრისსა და მიზანს. ზოგადად რომ ვთქვათ, სამსხვერპლო პირუტყვი ემსახურება ადამიანს და ასეც ეწოდება საკულტო საკლავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – *სამსახური*. "ცხვარი ღმერთს ჩამოუშვია ციდან და ხალხისთვის უსწავლებია, რომ ეს ჩემი სამსახურისათვის გამოიყენეთ", ამბობს თქმულება.

სრულიად წარმოუდგენელია სამსხვერპლო პირუტყვის როლში გარეული ცხოველი. არც ერთი ხალხის რელიგიურ პრაქტიკაში ეს არ დასტურდება. ველურ ცხოველს ადამიანი ვერ წაიყვანს სამსხვერპლოზე. მაგრამ რაც ყოფაში წარმოუდგენელია, ანდრეხი რეალურად სახავს. ამით ის საზოგადოების სოციალურ-რელიგიური ცხოვრების განსაკუთრებულ ხანაზე მიგვანიშნებს.

შეწირული ირმის ანდრეხი მხოლოდ ტყელას განუყოფელი კუთვნილება არ არის. მისი ტიპი გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (იმერეთი, ქართლი, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი). აი, ისინი:

ყოველ წელს, გაზაფხულის გიორგობას, ირემი მოდიოდა ოქუმში და წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში შედიოდა. ირემს კლავდნენ, მის რქებს კი წმ.გიორგის ხატს სწირავდნენ (ე. არჯევანიძე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია "СМОМПК"-ში გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალა, "მეცნიერება", 1971, გვ. 91). თქმულება არაფერს ამბობს, თუ რა მიზეზით შეწყდა ირმის გამოცხადება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საყმოს დაუდევრობამ გამოიწვია და, ალბათ ოქუმის ირემსაც ხარი შეენაცვლა.

აფხაზური ანდრეხი გარეულ თხას ასახელებს, რომელსაც მადლიანი მთავარანგელოზი ("მარდიან თარანგლაზ") უგზავნიდა თავის საყმოს. ახლა არ გვიგზავნის, ღირსნი არ ვართ მისი წყალობისო, განმარტავს სალოცავის "მეხატური" (Н.Джанашия, Абхазский культ и быт, Христианский Восток, т. V, вып. III, Петроград, 1917, стр. 97).

ილორის ეკლესიაში წმ.გიორგი ყოველ წელიწადს გზავნიდა სამსხვერპლო ხარს, რომელიც დილით დახვდებოდა სალოცავად მოსულ სოფელს. წმ.გიორგი შეწყვეტს ხარის გამოგზავნას მას შემდეგ, რაც ხარს ილორის ეკლესიის გალავნიდან მოიპარავენ. ამიერიდან გამოგზავნილ ხარს შინაური ხარი შეენაცვლა. ასევეა სვანურ ვერსიაში: ჯგრაგის მსახური იპარავს უყუღდაშის ჯგრაგისთვის განკუთვნილ ხარს და ჯგრაგი აღარ გზავნის სამსხვერპლო ხარს (თსუფა-სსნ №477).

ტყელას ანდრეხული სინამდვილე ამ ერთი, თუმცა შეუდარებელი ირმით არ ამოიწურება. მას ამდიდრებს სხვა თქმულება სხვა ირემზე, რომელსაც ვეცნობით ამავე წიგნში (ისიც ქალბატონ ჯ.რუხაძის აღმოჩენაა):

"ერთხელ ასეთი ამბავი მომხდარა: ხანელებმა მათ ტერიტორიაზე – სახანოში ირემი დაჭრეს. დაჭრილი ირემი ზეკარში გადავიდა და იქაურმა მონადირემ მოკლა. მან დაარღვია ნადირობის წესი, წილი ხანელ მონადირეებს არ მისცა. ხანელებმა ზეკრელი მონადირე, გვარად მინაძე, "ტყელას" წმინდა გიორგის ეკლესიას "გადასცეს". ერთხელ ახალციხეში ცხვრის ჯოგს ბოსეღში ირემი შეჰყვა. მინაძემ ეს ირემი ახალციხელებისაგან იყიდა და "ტყელაში" წაიყვანა. მინაძეს მომხდარი

ამბის შემდეგ ხატში ირმის ცოცხლად მოყვანა ჰქონდა შეთქმული. ეს ირემი დიდხანს ყოფილა სალოცავში, მაგრამ ბოლოს მაინც "ტყელას" შეწირეს".

ვხედავთ, რომ ხანი და ხანში საკუთრივ ადგილი ტყელა, რომელსაც "ბტყელა ვაკესაც" (ანუ "ბრტყელ ვაკეს") უწოდებენ, თავისი წიფლის, რცხილისა და წაბლის კორომით (აქ დღემდე იმ აკვნიდან აღორძინებული ტაბეშაძის ნაშიერი იხსენებს თავისი წინაპრის სულმოკლეობას), იზიდავდა ირემს – ეს ამ კუთხის, "იმერეთის ხევისურეთის" თავისებურებაა. აქ ირემი ნამდვილად შინაური ყოფილა, ყველა მისი გზა ხანისკენ მიდიოდა. ასე იყო, ვიდრე არ მოხდებოდა დიდი, ეპოქალური გაუცხოება და ის ზურგს არ შეაქცევდა ადამიანთა საზოგადოებას.

რას გვეუბნება ტყელას ანდრეზი?

– წმ. გიორგი ისევე უგზავნის თავის მრევლს სამსხვერპლო ირემს, როგორც თავის რჩეულ მონადირეს გაუგზავნიდა მოსანადირებლად. ის გარჩევა, რომელიც არსებობს შინაურ და გარეულ პირუტყვს შორის, რომელთაგან ერთი სამსხვერპლოა, მეორე კი – სანადირო, ტყელას ანდრეზში ჯერ კიდევ არ არსებობს. ირემი ნანადირევიც არის და მსხვერპლიც (გავიხსენოთ, რომ მონადირის სტატუსი ტიპოლოგიურად და სიღრმისეულადაც ახლოს დგას მსხვერპლის შემწირველის სტატუსთან).

– ირმის გამოჩენა, როგორც ნებაყოფლობითი მსხვერპლისა, ღვთიური საჩუქარია ტყელას მრევლისათვის, მისი პრივილეგიაა, რასაც სხვა, მეზობელი საყმოები, შეაძლოა, მოკლებული იყვნენ. ირემს საკუთარი თავი მიაქვს მსხვერპლად წმ.გიორგის სალოცავში. გარეულ პირუტყვთა შორის, რომელიც მისი სამწყსოა, წმ.გიორგი ყველაზე წმიდა ცხოველს უგზავნის ადამიანებს. გარე სამყაროს საუკეთესო წარმომადგენელი - ირემი მონაწილეობს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში, ამ ცხოვრების უმაღლეს გამოხატულებაში - საკულტო რიტუალში.

– "დანაცოხრება", ცოხნა, ჩლიქის ფორმასთან ერთად, ცხოველთა სამყაროში ბუნებრივი სიწმიდის ნიშანია. ამ ნიშნით განარჩევს ბიბლია წმიდა და უწმიდურ (უსურმაგ) ცხოველებს, ანუ საჭმელად და, ამდენადვე, სამსხვერპლოდ მისაღებ და მიუღებელ პირუტყვს (ლევ. 13:2-4). მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ფორმალური ნიშანი, იგი ცხოველის მიუცილებელი, ბუნებრივი თვისება-უნარია, რომლითაც მის ორგანიზმში მთავრდება სასიცოცხლო ბიოლოგიური ციკლი. ცოხნა ის არსებითი უნარია, რაც მას ბუნებას მისთვის მიუცია. სულწასული ტაბეშაძე, რომელიც ერთ დროს წმ.გიორგიმ თავის მკადრედ აირჩია, სწორედ ამ ყველაზე უფრო სასიცოცხლო, შეიძლება ითქვას, საკრალური პროცესის ხელმყოფელად გვევლინება. და მის დანაშაულს მისი რჩეულობა კიდევ უფრო ამძიმებს. ის არად ჩააგდებს სიწმიდის ნიშანს, რომლის დამცველი უნდა ყოფილიყო, და, ამასთან ერთად, ბუნების წინააღმდეგაც ილაშქრებს. ტაბეშაძის საქციელი ააშკარავებს ბზარს საზოგადოების ზნეობაში, მის მომხმარებლურ, შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას სამსხვერპლო პირუტყვისადმი. "დანაცოხრების" არდაცლა დაგვიანებით მოსული ირმისათვის დანაშაულია ჯერ ირმის, მერე მისი მომავლინებლის – წმ. გიორგის წინაშე. წიხლის კვრით

ირმისათვის მსხვერპლის შემწირველმა გამოხატა მიუტყევებელი აგრესია – ირემი მოკლული იქნა, არა დაკლული.

– ის ხანა, როცა ირემი თავისი ნებით, როგორც მსხვერპლის უმაღლესი ტიპი, მოდიოდა სალოცავში, შეიძლება ხანის საზოგადოების და, საკუთრივ, ტყელას მრევლის ცხოვრებაში "ოქროს ხანად" გაეიაზროთ. ეს ის ხანაა, როცა ველური პირუტყვი ჯერ კიდევ ემსახურება ადამიანთა საზოგადოებას. მაგრამ ადამიანის სულმოკლეობის მიზეზით გადადის ირმის ნიშნით გამოხატული რელიგიური ეპოქა თავისი სასწაულით ("სასტაულით") და დგება ხარის ეპოქა, წუთისოფლის სადაგი ხანა.

ამ მხრივ, ტყელას ანდრეხი ერთგვარ ისტორიოსოფიულ მითოსად წარმოგვიდგება, რომელიც უფრო ზოგად პარადიგმაში ერთიანდება. ეს არის "დაკარგული სამოთხის", უფრო სწორად "სამოთხის დაკარგვის" პარადიგმა.

დასასრულს, ამ მცირე ეტიუდის სათაურად მოხმობილმა ფრაზამ, რომელიც ამავე წიგნიდან არის ნასესხები, როგორც საზოგადოდ ყოველმა სიტყვამ, ყოველმა წინადადებამ, ცალკე აღებულმა თუ კონტექსტში მოქცეულმა, შეიძლება იმაზე მეტი გვითხრას, ვიდრე მის ავტორს შეეძლო ეგულისხმა. ხანში ირემი მოვიდა – როგორც მითოლოგემა (მასში შემავალი სამივე სიტყვის სიმბოლური გააზრების წყალობით), არ არის შემოფარგლული იმ დროით, რომელსაც ის გრამატიკულად გამოხატავს. ის ადასტურებს არა მხოლოდ წინარეისტორიულ ფაქტს, როგორც ერთხელ მომხდარს და მრავალგზის განმეორებულს სულთმოფენის დღეს, არამედ გამოთქვამს იმედსაც სამომავლოდ, რომ ირემი დაბრუნდება ხანში, ამ დაცემული წუთისოფელში, და შეწყვეტილ "დანაცოხრებას" დაასრულებს.